პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (9962) | შაბათი, 7 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ გამოფენაზე შეძენილი გამოცდილება (1-ლი გვერდი).

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები (მე-2 გვერდი).

გ. სეხნიაშვილი. — მივუახლოოთ პარტიული ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებს (მე-2 გვერდი).

გ. ხენგავა, გ. მეფისაშვილი. — ქუთაისის საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა მუშაობა უნდა გარდაქმნან (მე-2 გვერდი).

ვ. ყურული. — მოდის ქართული [illegible] (მე-3 გვერდი).

სადღესასწაულო თემაზე. — უბნის მექანიზატორთა [illegible] (მე-3 გვერდი).

დ. კოგანი. — ახალგაზრდა მხატვრობა [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას

საბჭოთა საქართველოს სოფლებში დიდი შემოქმედებითი შრომის დღეებია, თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების, ჩაის ფოთლის კრეფის, საკვების დამზადების გადამწყვეტი პერიოდია. მოსავლის უდანაკარგოდ აღების, პირუტყვის კარგად გამოზამთრების უზრუნველყოფასთან ერთად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დასახულია ამოცანა — მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საშემოდგომო თესვას.

სასურსათო მარცვლის წარმოების გადიდების საქმეში დიდ როლს ასრულებს საშემოდგომო კულტურები. საშემოდგომო ხორბლის ნათესს საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პურის ბალანსში.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო კულტურების თესვას, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი საშუალებანი წარვმართოთ საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის.

მეცნიერების მონაცემები და საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკა ცხადყოფენ, რომ საშემოდგომო ხორბლეულის მოსავლიანობის გადიდების საფუძველი ნიადაგის დროზე მომზადება, თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარება. წელს საშემოდგომო ხორბლის 20-25 და კიდევ მეტი ცენტნერი მოსავალი მიიღეს დიდ ფართობებზე ლაგოდეხის, კაჭრეთის, წითელწყაროს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობამ საშემოდგომო ხორბლის ნათესიდან ჰექტარზე მიიღო 23 ცენტნერი მარცვალი. როგორ მოიპოვეს მოწინავეებმა უხვი მოსავალი? უწინარეს ყოვლისა ანეულის კარგად დამუშავებით, ნიადაგის დროულად მოხვნით, ჯიშიანი თესლის დათესვით და, რაც გადამწყვეტია, საშემოდგომო კულტურების დადგენილ ვადებში დათესვით.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი გულმოდგინეობით ადევნებენ თვალს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობას. საქართველოდან მოსკოვში გამგზავრებული გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები საფუძვლიანად სწავლობენ დიდი რუსი მეგობრების და მომძე რესპუბლიკების მშრომელთა შესანიშნავ გამოცდილებას ხორბლის მაღალი მოსავლის მოყვანის საქმეში. საქართველოს მშრომელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ კრასნოდარის მხარის კორენოვკის რაიონმა 1952-1953 წლებში 29.350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო მარცვლეული კულტურების 21,8 ცენტნერი მოსავალი. პავლიონ „მარცვლეულში“ წარმოდგენილია ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის 29 კოლმეურნეობის მაჩვენებლები. რაიონის კოლმეურნეობებმა ორი წლის განმავლობაში 37 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 20 ცენტნერი ხორბალი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება მასობრივად გაავრცელონ და ხელი შეუწყონ თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების ისეთ პროგრესულ ღონისძიებებს, როგორიც არის თესვა ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად, რაც ჰექტარზე იძლევა 3-4 ცენტნერით მეტ მოსავალს.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საფუძველია ნიადაგის დროულად მომზადება და საუკეთესო, მოკლე ვადებში დათესვა. ქართლის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში წელს ხორბლის დაბალი მოსავალი სწორედ ხვნისა და თესვის აგროტექნიკური ვადების უხეშად დარღვევის შედეგია. ამიერიდან უნდა აღიკვეთოს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა, როდესაც ზოგან საშემოდგომო თესვა გრძელდებოდა ნოემბერსა და დეკემბერშიც კი. ცხადია, რომ აგროტექნიკის ასეთ უხეშ დარღვევას მივყევართ მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებისაკენ. შარშან საშემოდგომო თესვა გააჭიანურეს თეთრი წყაროს, ყვარლის, ბოლნისის, ახალქალაქის, ადიგენის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამ რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა ამ მწარე გაკვეთილიდან საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ და არ დაუშვან თესვის აგროტექნიკის დარღვევა.

არის ფაქტები, რომ ანეულის შეუფასებლობას იჩენენ და მას წესიერად არ უვლიან. ანეულის პირველი დამუშავების ვადები დაარღვიეს გორის, ბოლნისის, კაჭრეთის რაიონებში, ჩამორჩნენ მეორე დამუშავებაშიც. ანეულს არადამაკმაყოფილებლად უვლიან და ნაკვეთები დასარეკლიანებულია თეთრი წყაროს, მარნეულის, ახალციხის, ქარელის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ანეულის სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში შენახვა დათესვამდე, ანეულის მოვლაში არსებული მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება საღდღისო გადაუდებელი სამუშაოა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ხვნა საშემოდგომო კულტურების დასათესად. 1 აგვისტოსათვის საშემოდგომო ხვნის გეგმა მტს-ების ხაზით აღმოსავლეთ საქართველოში შესრულებული იყო მხოლოდ 10,5 პროცენტით. სტალინირის, ველისციხის, ულიანოვკის, გამარჯვების, ყვარლის, აფენის მტს-ებს ამ რიცხვისათვის ხვნა დაწყებულიც არ ჰქონდათ. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც გომის, ბადიაურის, დმანისის, შირაქის, თელავის, იორის, შულავრის მტს-ებშია. მტს-ებს აქვთ მძლავრი ტექნიკა ნიადაგის დროულად მომზადებისათვის. სამწუხაროდ, მთელ რიგ მტს-ებში ამ ტექნიკას სათანადოდ არ იყენებენ და აშკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ ხვნის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისადმი. განა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებაზე?

თესვის ვადები ახლოვდება. ნიადაგი ისე უნდა მოვამზადოთ, რომ უზრუნველვყოთ საშემოდგომო თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება თვითეულ რაიონში ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საშემოდგომო თესვისათვის მაღალხარისხოვანი თესლის მომზადებას და გამოყენებას, პირველ რიგში კარგი სათესი კონდიციის ჯიშიანი თესლისას. არ დავუშვათ შემცირებული ნორმებით თესვა, ფართოდ გამოვიყენოთ საშემოდგომო კულტურების თესვისას ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვის მოწინავე, პროგრესული ხერხები, უზრუნველვყოთ სათესლე ნაკვეთებზე საუკეთესო დარაიონებული ჯიშების შერჩეული თესლის თესვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თესლის დროულად შეწამვლას, სათესლის სრულ წესრიგზე მოყვანას, სამუშაო გეგმების დროზე და გონივრულად შედგენას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა საბრძოლო ამოცანად დაგვისახა საშემოდგომო თესვის სანიმუშოდ მომზადება და მისი მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარება. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ თესვისათვის მზადების სამუშაოთა სწრაფად დამთავრებისათვის. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას და ფართოდ გააჩაღონ მექანიზატორთა, კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება საშემოდგომო თესვის დროზე და მაღალხარისხოვნად მოწყობისათვის. ამჟამად მთავარია ის, რომ ისე გავანაწილოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ძალები, რომ არ დავუშვათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობის მავნე პრაქტიკა, მოხერხებულად შევუხამოთ ერთმანეთს მკის, ლეწვის, პურის დამზადების, საკვების დაგროვების, ჩაის კრეფისა და საშემოდგომო თესვისათვის მზადების სამუშაოები.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების, მოწინავე პრაქტიკის შესანიშნავ მიღწევათა უნარიანი გამოყენებით აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს. შეუპოვრად ვიბრძოლოთ 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

საქართველოს კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

* * *

ვალდებულებებს ანაღდებენ

თამარისის მტს-ში

უსეინ ყურბანოვმა თავი გამოიჩინა წელს როგორც ენერგიულმა და შრომისმოყვარე კომბაინერმა. „სტალინეც—6“ მარკის კომბაინით მან სოფ. ფახრალოს კოლმეურნეობა „პობედასა“ და სოფელ ტახძიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 22 სამუშაო დღეში 570 ჰექტარი პურეული მომკა. ეს ერთიორად და მეტად აღემატება მიცემულ დავალებას. მოწინავე კომბაინერი ყოველდღიურად 25-30 ჰექტარს მკადა. უ. ყურბანოვის აგრეგატმა, რომელსაც მკის დაწყებიდან დამთავრებამდე მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა ჰქონდა მიკუთვნებული, გალეწა 800 ტონამდე მარცვლეული.

ვალი გასანოვმა წარმატებით დაამთავრა მოსავლის აღება 430 ჰექტარზე სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „პობედაში“. მოწინავე კომბაინერმა ნაკისრი ვალდებულება 20 სამუშაო დღეში შეასრულა. იგი ყოველდღიურად ლეწავდა 40-45 ტონა მარცვლეულს.

კასპის მტს-ში

ოთარ გეჯაძე მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში გაზაფხულის პურეულის მკას ვალდებულების გადამეტებით. მან დღემდე მომკა 345 ჰექტარი ნაცვლად ვალდებულებათ გათვალისწინებული 330 ჰექტარისა. ახლა იმისათვის იბრძვის, რომ კიდევ მომკას 30 ჰექტარი.

ნიკოლოზ პატარქალიშვილმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით განაღდა. მოსავალი აიღო 367 ჰექტარზე ნაცვლად 350-სა, ვალდებულება იკისრა დამატებით მომკას 35 ჰექტარი.

მიხეილ გოჭოშვილი მოსავლის აღებას განაგრძობს კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოსავალი აიღო 310 ჰექტარზე და გალეწა 230 ტონაზე მეტი მარცვალი. დღეში იღებს 20 ჰექტარს.

თეძამის მტს-ში

მიხეილ ჯანდიაშვილს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პურეულის მკაში წარმატებისათვის მტს-ის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს. მან ყველაზე ადრე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. პურეულის მოსავალი აიღო 306 ჰექტარზე. კომბაინერმა ვალდებულება აკისრა მკაში დაეხმაროს კასპის მტს-ის ზონის სოფელ კავთისხევის კოლმეურნეობას და მოსავალი დამატებით აიღოს 60 ჰექტარზე. იგი მკის ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ანაღდებს.

სოლომონ ზარიძემ 20 სამუშაო დღეში პურეული მომკა 336 ჰექტარზე. ამით მან ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. ახლა იგი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 14-16 ჰექტარ პურეულს მკის.

დავეუფლოთ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მკვეთრ აღმავლობას

თბილისის ლითონდამმუშავებელი საწარმოების მოწინავეთა მიმართვა

ამას წინათ შედგა თბილისის ლითონდამმუშავებელი საწარმოების მოწინავე ადამიანთა საქალაქო თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი ლითონდამმუშავებელ საწარმოებში მუშაობის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვის შესახებ შრომის ნაყოფიერების ზრდაში საერთო აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

თათბირის მონაწილეებმა მიმართეს რესპუბლიკის ყველა ლითონდამმუშავებელი საწარმოს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკებს მოწოდებით ხელი შეუწყონ ლითონდამმუშავებელთა შორის მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას — ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის მასობრივად დანერგვას, რათა ამის შედეგად მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების მკვეთრი აღმავლობა. მიმართვაში აღნიშნულია:

— თათბირის მონაწილენი, აღფრთოვანებულნი იმ დიდი, შეუნელებელი მზრუნველობით, რომელსაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელი ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში იჩენენ, ვკისრულობთ დაუღალავად ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის და მოვუწოდებთ საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ყველა მუშაკს აქტიურად ჩაებას ამ ბრძოლაში, ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის მეთოდების მასობრივი დანერგვით უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის მიღწევა, დანადგართა მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენება.

მოვუწოდებთ ყველა მოწინავე ხარატს, მრანდავს, მღარავს, ლითონდამუშავების ყველა პროფესიის წარმომადგენელს მიბაძონ ჩვენს მაგალითს— ფართოდ გაავრცელონ თავიანთი მუშაობის დადებითი გამოცდილება, პრაქტიკულად დაეხმარონ ამხანაგებს გაუმჯობესებული მეთოდებით მუშაობის ათვისებაში, დაეუფლონ და სხვებიც დაეუფლონ ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის ხერხებს სახარატო, საღარავ, სარანდავ, საბურღავ და ყველა სხვა ლითონდამმუშავებელ ჩარხებზე.

თათბირის მონაწილენი საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკოსებსა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკებს მოუწოდებენ ყველა შესაძლებელი დახმარება გაუწიონ ამ მხრივ ლითონდამმუშავებლებს, განამტკიცონ მათთან შემოქმედებითი თანამეგობრობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა ყველა ლითონდამმუშავებელ საწარმოში.

მოწინავე მეაბრეშუმეები

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ბაბელია კაბისოვმა ერთი კოლოფი ჭიის თესლიდან მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 52 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 38 კილოგრამისა.

სოფელ აბისის კოლმეურნეობის წევრმა ლილი მარგველაშვილმა ორი კოლოფი ჭიის თესლიდან მიიღო 85 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 76 კილოგრამისა. ქარელის კოლმეურნეობის წევრმა ევა სანდოძემ 2,5 კოლოფ თესლზე მიიღო და ჩააბარა 120 კილოგრამი პარკი, ნაცვლად 95 კილოგრამისა.

მეცნიერთა ლექციები

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საკავშირო საზოგადოებამ ლექციების კითხვა მოაწყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. პროფესორმა ნ. ვ. პუხოვსკიმ წაიკითხა ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და შთამაგონებელი ძალაა“, მწერალმა ა. დ. კოჩინმა — ლექცია „საკოლმეურნეო შრომის ჰეროიკა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში“.

გამოფენაზე წასაკითხავი ლექციების თემატიკაში შეტანილია 150-ზე მეტი თემა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, საერთაშორისო, სამეცნიერო-ათეისტურ, საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებზე, პედაგოგიკის, ეკონომიკის, მედიცინის, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებზე. ლექციებს წაიკითხავენ გამოჩენილი მეცნიერები, ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები, სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

ფართოდ დავნერგოთ გამოფენაზე შეძენილი გამოცდილება

4 აგვისტოს დაიწყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან ექსკურსანტების პირველი ჯგუფის გამგზავრება. მოსკოვში ყოფნის დროს მათ დაათვალიერეს გამოფენა, მისი დარგობრივი პავილიონები, დეტალურად შეისწავლეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება. ექსკურსანტები გაეცნენ აგრეთვე დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი, იყვნენ მოსკოვის ოლქის საუკეთესო მეურნეობებში.

— ამ დღეებმა ბევრი რამ შეგვძინა, — ამბობს გამოფენის მონაწილე — ლიპეცკის ოლქის დობრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ტ. ე. ბუგრო. — ჩვენი კოლმეურნეობა მონაწილეობას იღებდა ომამდელ გამოფენაში. მას შემდეგ მეურნეობამ შესამჩნევად წაიწია წინ. კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ს. ბასკაკოვამ 1945 წელს ოთხი ჰექტარი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 1.150 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა. ამისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა. კოლმეურნეობას 18 წლის მანძილზე დიდი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 260 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოჰყავდა.

დღემდე ჭარხლის მექანიზებული დამუშავება ჩვენში მხოლოდ ერთი მიმართულებით — მწკრივების გაყოლებით ხდებოდა. გამოფენის საექსპონატო ნათესებში „შაქრის ჭარხლის“ პავილიონთან გავეცანი ჭარხლის მექანიზებულ დამუშავებას ორი მიმართულებით — მწკრივების გარდიგარდმო დამუშავებას. ეს საშუალებას იძლევა შრომის ხარჯვა სულ ცოტა ერთიორად შევამციროთ, ამასთან უზრუნველყოფს ფესვების უფრო დიდ მოსავალს. ჭარხლის დამუშავების ასეთ წესს ჩვენშიც აუცილებლად განვახორციელებთ.

ჩვენი კოლმეურნეები — გამოფენის მონაწილეები დაინტერესა მოწინავე კოლმეურნეობებში პირუტყვის ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის გამოცდილებამ. ჩვენ ამ გამოცდილებასაც გადმოვიღებთ. იგი აუცილებლად დაგვეხმარება მნიშვნელოვნად გავადიდოთ წველადობა.

ახლა გამოფენაზე ყოველდღე იქნება 16.500-მდე ექსკურსანტი. გუშინ გამოფენაზე კვლავ ბევრი ხალხი იყო. იგი დაათვალიერა ათეულ ათასობით მოსკოველმა.

გამოფენის · მნახველებში დიდი წარმატება აქვს საექსპონატო ცხოველების გამოყვანას მანეულზე.

(საკდესი).

მაჩარცვლეულის გაღაზიდვა

ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთ, ოდესა-კიშინიოვის, ჩრდილოეთ კავკასიის, ორჯონიკიძის რკინიგზის ბაგისტრალებზე მასობრივად გადააქვთ მარცვლეული. გზები წარმატებით ასრულებენ დატვირთვასა და ტრანსპორტირებას. ყველა დარგი შეთანხმებულად მუშაობს. ახალი ტექნიკა მიიღეს რკინიგზის სადგურებმა და ზაგოტზერნოს პუნქტებმა. ბევრ მათგანს აქვს ელექტროამწეები, ტრანსპორტიორები, სკრეპერები, მარცვლეულის დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიკური ნიჩბები.

რკინიგზელებმა უახლოეს ხანში უნდა გადაზიდონ ახალი მოსავლის პური ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებიდან. სამხრეთ ურალის, ომსკის, ყარაგანდის, ტომსკის, ორენბურგისა და თურქესტან-ციმბირის გზებზე აგვისტოში გადაზიდვა მნიშვნელოვნად იმატებს.

ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზაზე გაჩაღდა შეჯიბრება ახალი მოსავლის მარცვლეულის სანიმუშოდ გადაზიდვისათვის. (საკდესი).

საგარეჯოსა და შინდისის მტს-ებმა მოსავლის აღების გეგმა შეასრულეს

საგარეჯოს მტს-მა 5 აგვისტოსათვის ასი პროცენტით შეასრულა კომბაინებით თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა.

შინდისის მტს-მა 5 აგვისტოსათვის კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა.



მოსკოვი. 1954 წლის 1 აგვისტო. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა. **სურათებზე:** 1. საქართველოს სსრ პავილიონში მნახველები ათვალიერებენ ექსპონატებს. 2. რუმინეთის ქალთა დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება, დაესწრო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას. სტუმრები ბამბუკის ქალაში ესაუბრებიან გამოფენის მონაწილეებს საქართველოს სს რესპუბლიკიდან. ფოტო ვ. მახტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პროპაგანდისტთა გადასამზადებელმა ერთთვიანმა კურსებმა.

კურსებისათვის შერჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტები, შტატგარეშე ლექტორები, პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების შტატის პროპაგანდისტები, წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელები. სულ კურსებზე სწავლობდა 700 პროპაგანდისტი. კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელისათვის პროპაგანდისტთა გადასამზადებლად კურსებზე შექმნილი იყო კომკავშირული ჯგუფები, სადაც 214 პროპაგანდისტი მეცადინეობდა.

კურსებზე ლექციების წასაკითხად და სემინარულ მეცადინეობათა ჩასატარებლად მოწვეული იყო დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების მაღალკვალიფიციური ლექტორები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ერთი თვის განმავლობაში კურსებზე წაკითხულ იქნა ლექციები ჩვენი პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კურსების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სემინარულ მეცადინეობას, რომელიც ტარდებოდა შესასწავლი საკითხების შემოქმედებითი განხილვისა და მსმენელთა მაღალი აქტივობის ვითარებაში. ამიტომ სემინარულმა მეცადინეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის უკეთ ათვისებას.

კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკისა და პრაქტიკის საკითხებს.

კურსების მსმენელებს დაწვრილებით გაეცნო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის და ივნისის პლენუმების დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კურსებზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ამხ. მ. გიორგაძემ და დ. მჭედლიშვილმა, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჭახრაკიამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა, საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ზამბახიძემ, რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. მ. თოფურიძემ და სხვ.

პროპაგანდისტთა გადასამზადებელ ერთთვიან კურსებზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეავანაძე.

პროპაგანდისტებისათვის მოწყობილ იქნა ექსკურსიები ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, ქ. გორში, გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, დიღმის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, „თბილისის ზღვაზე“.



თბილისი. ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით დაიწყო სახელმძღვანელოებით ვაჭრობა. **სურათზე:** სახელმძღვანელოებით ვაჭრობა საქმიგნის მე-5 მაღაზიაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სახლები მეშახტეებისათვის

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი გაცხოველებით ემზადება მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის. აქ მეორე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 124 პროცენტით იქნა შესრულებული. განსაკუთრებით ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მეშახტეთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მაგალითად, ამას წინათ დაბა ახალ მახმეში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც უკვე ცხოვრობენ სტალინის სახელობისა და № 2 შახტების მუშათა ოჯახები. ჩასაბარებლად მომზადებულია სამსართულიანი შენობა დაბა ჯანტუხაში.

მთავრდება ოთხსართულიანი ლამაზი შენობა მუშათა ცენტრალურ დაბა აკარმარაში. ეს სახლი განკუთვნილია № 3 შახტისათვის.

მეშახტეთა დღისათვის დაბა ახიბლარაში საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული 200-ადგილიანი კინოთეატრის შენობა, ხოლო ზემო ხილიკვარაში — ორი საცხოვრებელი შენობა № 5 შახტის მუშაკებისათვის.

პლ. ბარძაია.

საწარმოთა ამგეგი

18 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი გამოუშვა ივლისის გეგმის გადამეტებით თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკამ. გაუჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც.

62 ათასი ბოთლი სხვადასხვა ხილის წყალი, 10 ათასი ლიტრი ციტრუსების, ხილისა და სადესერტო სიროპები, აგრეთვე 27 ათასი ლიტრი პურის ბუზახი დაამზადა ივლისის გეგმის გადამეტებით ლუდ-ლიმონათის ტრესტის თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანამ.

22 მილიონი მანეთის სხვადასხვა სამკერვალო ნაწარმი უნდა გამოუშვას წელს თბილისის მთავარი უნიფორმაღის საწარმოო კომბინატმა. ეს 5 მილიონი მანეთით აღემატება შარშანდელ გეგმას.

ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებმა მუშაობა უნდა გარდაქმნ[illegible]

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ამას წინათ შეამოწმა ქალაქის სავაჭრო ქსელი. აღმოჩენილ იქნა უხარისხო, უგემოვნოდ, უვარგისი მასალით შეკერილი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. საქალაქო კომიტეტმა განიხილა უხარისხო საქონლის მწარმოებელი ორგანიზაციების მუშაობა, სათანადოდ დაისაჯნენ არტელ „მეხშუბის“ თავმჯდომარე გ. ხახარაძე, არტელ „დამკვრელის“ თავმჯდომარე გ. უგულავა, არტელ „შეკავშირების“ თავმჯდომარე პ. სარალიძე და სხვები. შემოწმებამ სავაჭრო ქსელში აღმოაჩინა არტელ „მეხშუბის“ № 7 საამქროს მიერ დამზადებული 10.000 მანეთის უფაქტურო საქონელი, რისთვისაც ბოროტმოქმედნი მოიხსნენ სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცა პროკურატურას.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ქალაქ ქუთაისში ვაჭრობა ჯეროვან სიმაღლეზე მაინც არა დგას. ვაჭრობის მუშაკები მომზმარებელთა მოთხოვნილების შესაბამისად არ მუშაობენ, მტკიცედ არ იცავენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, არის წამგლეჯობის, მომხმარებლის ზრმა-წონასა და ფასებში მოტყუების შემთხვევები.

უწინარეს ყოვლისა მომხმარებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ქალაქში მაღაზიების, განსაკუთრებით საპროდუქტო და პურის მაღაზიების, უთანაბარო განლაგება. ქალაქის ცენტრში მაღაზიები ზედიზედ არის განლაგებული, გარეუბნებში კი ისინი ერთმანეთს ორი-სამი კილომეტრით არიან დაშორებული. ამის გამო აქაურ მცხოვრებლებს პროდუქტების შესაძენად დიდი მანძილის გავლა და ბევრი დროის დახარჯვა უხდებათ.

ქალაქის ცენტრში მოქმედი ერთადერთი კაფე-საჩაიე ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. დღემდე ჭიანურდება მომდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების — ახალი რესტორანის, სასადილოს და ორი საუზმის გახსნა.

სავაჭრო ქსელში იშვიათად არის სეზონური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ბევრ მაღაზიაში ზოგჯერ არ იშოვნება პირველი მოთხოვნილების საქონელი. აღმაშფოთებელია, რომ საქონელი, რაც სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში არ იშოვნება, უხვად აქვთ სპეკულანტებს და ორ-სამმაგ ფასებში ჰყიდიან.

ქუთაისში დიდია მოთხოვნილება მინერალურ და გამაგრილებელ წყლებზე. სავაჭრო ქსელში საკმაო რაოდენობით არის მინერალური წყლები, მაგრამ მაცივრების უქონლობის გამო მათი ადგილზე დალევა შეუძლებელია. ქუთაისელები დიდი ხანია ელიან ქალაქში მინერალური წყლების სპეციალიზებული მაღაზიის გახსნას, მაგრამ ეს მოლოდინი დღემდე არ შესრულებულა.

მომხმარებელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებრივი კვების ქსელი. სასადილოებში ხშირად არ მზადდება გემრიელი, წვნიანი კერძები. იმ დროს, როცა საზოგადოებრივი კვების ქსელში პროდუქტების ნაკლებობაა — სასადილოებში იშვიათად იშოვნება მწვანილი, პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული, ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრები სავსეა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

ხილ-ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებაში დიდ როლს ასრულებენ კოოპერაციული და საკოლმეურნეო სავაჭროები. ამ ბოლო ხანებში კოოპვაჭრობის ქსელს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. კოოპვაჭრობის ქუთაისის განყოფილებამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესებისათვის: ქალაქში 15 მაღაზია და ფარდული გახსნა, სავაჭრო წერტილები და ფარდულები მოაწყო აგრეთვე საავტომობილო და მანქანათმშენებელი ქარხნების, აბრეშუმკომბინატის ტერიტორიებზე, გუმათჰესის მშენებლობაზე, კოლმეურნეობებთან დადო ხელშეკრულებები 1.500 ტონა ხილ-ბოსტნეულზე. უკვე შემოზიდა 500 ტონა მარცვლეული და კარტოფილი. მაგრამ კოოპვაჭრობის ქსელი მაინც ღარრბია პროდუქტებით. არ იგრძნობა ის სიუხვე, რაც საკოლმეურნეო სოფლებსა და ბაზრებშია. კიდევ მეტი. კოოპვაჭრობა მზად არ არის ვაჭრობის გასაფართოებლად, არა აქვს შესაფერი სასაწყობო მეურნეობა, ტარა და ტრანსპორტი.

ახალი ხელშეკრულებით უკვე დიდდება ქალაქში ხილ-ბოსტნეულის მიღება. სასაწყობო მეურნეობისა და სავაჭრო ქსელის გაფართოება კი კუს ნაბიჯით მიდის.

ქუთაისში საკმაო რაოდენობით არის საკოლმეურნეო სავაჭროები, მაგრამ მათ უმეტესობაში იშვიათად ნახავთ ხილ-ბოსტნეულს, სამაგიეროდ მთელი დღე გახურებულია ღვინით ვაჭრობა, დილიდან შუაღამემდე ისმის მთვრალების სიმღერა და ღრიანცელი. იქვე ანტისანიტარულ პირობებში მზადდება ღვინოზე შესატანებელი კერძები. საკოლმეურნეო სავაჭროების უმეტესობა საკუთარ დუქნად არის გადაქცეული. ასეთია, მაგალითად, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ლენინისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობათა ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო (გამგე ტყეშელაშვილი, მოანგარიშე ზაუტაშვილი, გამყიდველი კვერნაძე), სადაც უმთავრესად საკუთარი ჯიბის გასასქელებლად ვაჭრობენ; სავაჭროს მუშაკები ქალაქშივე იძენენ პროდუქტებს, უფაქტუროდ შეაქვთ წერტილში, ხოლო საკოლმეურნეო ბაზრების დაკეტვის შემდეგ პროდუქტებს გაცილებით უფრო მაღალ ფასებში ჰყიდიან, ვიდრე ბაზრებზე იყიდება.

ქ. ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის სავაჭრო ქსელის ზოგიერთი მუშაკი აშკარა სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის, დაკავშირებულია სამრეწველო საქონლის მწარმოებელ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით არტელებთან, და მათ მიერ დამზადებული უხარისხო საქონელი უხვად შემოაქვს მაღაზიებში. ასეთი საქონელი ხშირად უფაქტუროდ იყიდება და ნავაჭრსაც მწარმოებელი და გამსაღებელი წინასწარი შეთანხმებით ინაწილებენ. ასეთი დანაშაულებისთვის — [illegible] დაისაჯა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მაინც გაიწმინდებოდა სავაჭრო ქსელი უვარგისი და არასწორად შეფასებული საქონლისაგან. მაგრამ ასე როდი მოხდა. სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ნაწარმი, რომელიც შეფასებულია როგორც პირველი ხარისხის საქონელი, სინამდვილეში კი მისი დიდი ნაწილი დაბალი ხარისხისაა, ან სრულებით უვარგისია. ამას მრავალი ფაქტი მოწმობს. დავასახელებთ მხოლოდ ერთს. ამას წინათ მოქალაქე მოსკალენკომ ქუთაისავაჭრობის № 92 მაღაზიაში შეიძინა ტუფლი, რომელიც მეორე ჩაცმის შემდეგ გაცვდა. ეს ტუფლი არტელ „მეხშუბას“ ნაწარმია და იგი მაღაზიაში იყიდება როგორც პირველი ხარისხის საქონელი.

ყველაზე აღმაშფოთებელია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება, რასაც ვხვდებით ქუთაისის სავაჭრო ქსელში. მაგალითად, 26 ივლისს ქუთაისავაჭრობის № 79 ლუდის მაღაზიაში გამყიდველმა ნ. ბობრიშევამ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების მუშაკს, როგორც მომხმარებელს, ორი ჭიქა ლუდი მიაწოდა, მაგრამ მიხვდა თუ არა, რომ ლუდის წონის შემოწმება დაუპირეს, ერთი ჭიქა ხელიდან გამოსტაცა და შეავსო. მაგრამ ამ ფანდმა არ უშველა, მეორე ჭიქაში 500 გრამის ნაცვლად 440 გრამი ლუდი აღმოჩნდა. მოსალოდნელი იყო, რომ ბობრიშევას საქციელი აღამფოთებდა მაღაზიის გამგეს ს. ტურაბელიძეს, მაგრამ, პირიქით, იგი შემმოწმებელთა ქცევამ აღელვა.

— მერე რა მოხდა, 60 გრამი ლუდი დააკლო, თორემ მისი საფასურით ქარვასლას დაიდგამსო, — განაცხადა ტურაბელიძემ და, ნაცვლად დანაშაულის შეგნებისა, აქტზე ხელის მოწერაზე უარი თქვა. ბობრიშევას „მეთოდით“ სხვა გამყიდველებიც მოქმედებენ. მაგალითად, იმავე სისტემის მაღაზიაში მუშაობს ვინმე დვალიშვილი, რომელიც მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუებისათვის რამდენჯერმე იყო სამუშაოდან მოხსნილი, მაგრამ თავის „ჩვეულებას“ მაინც არ ივიწყებს. 27 ივლისს მან წონაში მოატყუა მომხმარებელი მელუა.

სავაჭრო ქსელის მუშაკებისადმი სუსტია როგორც სათანადო ორგანოების, ისე საზოგადოებრივი კონტროლი, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ არ წარმოებს სისტემატური ბრძოლა, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებს ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა და ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისა და მაღალხარისხოვანი საქონლით მშრომელთა მომარაგების მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში ქმედითად უნდა დაეხმარონ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

გ. ხენგავა,
გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

კომკავშირელები — საკოლმეურნეო სოფელს

ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქუთაისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო სოფლისადმი დასახმარებლად მოაწყეს შაბათობა მახლობელი რაიონების კოლმეურნეობებში. შაბათობაში მონაწილეობდა საავტომობილო ქარხნის, მანქანათმშენებელ ქარხანა „მაღაროელის“, აბრეშუმკომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის და სხვა წარმო-დაწესებულებათა 1.500-მდე კომკავშირელი და ახალგაზრდა.

ქუთაისელმა კომკავშირელებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც ვენახის სამუშაოებში 800-მდე კომკავშირელი მონაწილეობდა. ერთი დღის განმავლობაში 350 კომკავშირელმა წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში 23 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გათოხნა და გაწმინდა სარეველა მცენარეებისაგან. ასევე ენერგიულად დაეხმარნენ კომკავშირელები წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებს ჩაის ფოთლის კრეფასა და პლანტაციების გათოხნაში.

ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს სისტემატურად დაეხმარონ კოლმეურნეობებს მინდვრის სამუშაოების შესრულებაში და, ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

ი. ბუხაიძე.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

მივუახლოოთ პარტიული ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო წარმოების გაადვილებას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს დაუსახეს ამოცანა — აამაღლონ სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, გახადონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა კონკრეტული, კვალიფიციური, საქმის ღრმა ცოდნაზე დაძყარებული.

პარტიის მცხეთის რაიკომი ყველა ზომას იღებს სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის. რაიონში ერთი, მცხეთის, მტს-ია, რომლის ზონაში შექმნილია ინსტრუქტორთა ჯგუფი რაიკომის მდივნის მეთაურობით. ახლა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ცენტრი გადატანილია იქ, სადაც წყდება მოსავლის აღებისა და პირუტყვის საკვების დამზადების ბედი — მტს-სა და კოლმეურნეობებში. როცა მტს-ის ზონაში ინსტრუქტორთა ჯგუფი იქმნებოდა, რაიონულმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ჯგუფი დაკომპლექტებულიყო გამოცდილი მუშაკებით, რომლებსაც ესმით სოფლის მეურნეობა და უყვართ პარტიული მუშაობა. თვითონ პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ვ. ბერუჩაშვილი აგრონომია. პარტიულ მუშაკთა ჯგუფის ხუთივე ინსტრუქტორი უმაღლესი განათლებით არის. მათ შორის სამი სოფლის მეურნეობის სპეციალისტია, იმისათვის, რომ ინსტრუქტორები მთელ დროს მტს-სა და კოლმეურნეობებში ატარებდნენ, ახლოს იდგნენ მასებთან, ყურს უგდებდნენ მათს ხმას, ისინი საცხოვრებლად თავიანთი ზონის კოლმეურნეობებში გადავიდნენ.

რაიონის კოლმეურნეობებმა და მტს-მა წელს უკეთესად მოაწყეს საგაზაფხულო სამუშაოები. გასულ წელთან შედარებით ამ გაზაფხულზე მინდვრად გატანილ იქნა 2.400 ტონით მეტი ნაკელი. საგაზაფხულო ხვნა-თესვამ მაღალხარისხოვნად, აგროტექნიკით დაწესებულ ვადებში ჩაიარა. კოლმეურნეობებში ფართოდ დანერგა მოსავლიანობის ზრდის პროგრესული მეთოდები. წარმატებით შესრულდა სიმინდისა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმები. კოლმეურნეობებში დამატებით მოეწყო საკვლასათბურო მეურნეობა 780 კვადრატულ მეტრ ფართობზე. ბოსტნეულის ჩითილის გამოსაყვანად დამზადდა ერთ მილიონზე მეტი ნეშომპალის ქოთანი. შარშანდელთან შედარებით წელს ბოსტნეული კულტურების ფართობი 100 ჰექტარით გაიზარდა.

მცხეთის მტს-ის კოლექტივმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 177,9 პროცენტით შეასრულა. მექანიზატორები მოძზადებული შეხვდნენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას. ვადამდე დამთავრდა კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი. მტს-ში ბევრი მოწინავე ადამიანია. იმ სატრაქტორო ბრიგადებს, რომლებსაც კომუნისტები გ. ბულაცაშვილი და გ. ირემაშვილი ხელმძღვანელობენ, რბილ ხვნაზე გადაყვანით სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმები ორ-სამმაგად აქვთ განაღდებული.

სერიოზული ყურადღება ექცევა ნათესების დამუშავებას, კულტივაციას. ეს საქმე კარგად მოაწყეს სოფლების წილკნის, ჩარდახის, მისაქციელის და სხვა კოლმეურნეობებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოსავლის აღებისა და ნათესების მოვლის საქმეში სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს დიდი ამოცანები დაუსახა. ახლა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გადამწყვეტი დღეებია. რაიონის კოლმეურნეობებში მთავრდება ბუნებრივი ბალახების აღება. მოწინავეთა რიგებში არიან სოფლების წილკნის, მცხეთისა და წეროვნის კოლმეურნეობები. ამ საქმეში გვქონდა სერიოზული ნაკლოვანებებიც. სოფლების ქსოვრისის, მუხრანის, ნიჩბისის და სხვა კოლმეურნეობები დაგვიანებით შეუდგნენ თივის აღებას. პირველ ხანებში ცუდად იყო გამოყენებული მტს-ის ტექნიკა. ამჟამად რაიონს ბუნებრივი ბალახების მოსავლის აღების გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული. მიღებულია საჭირო ზომები ახალ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დასაჩქარებლად.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გააჩაღეს. ახლა მთელი ყურადღება გადატანილია მინდვრად, მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აღებაზე.

სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას მოსავლის აღებისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. დროზე არ მოიმზადეს ტომრები საკმაო რაოდენობით, წესრიგზე არ იყო მოყვანილი ტრანსპორტი, მოსავლის შესანახად მზად არ იყო საწყობი და ფარდული. ეს საკითხი კომუნისტების მსჯელობის საგანი გახდა. კრებაზე კომუნისტებმა მრავალი კარგი წინადადება წამოაყენეს, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. კომუნისტთა ძალები სწორად იქნა განაწილებული მემინდვრეობის ბრიგადებში. გაძლიერდა აგიტკოლექტივის შემადგენლობა, შეიკსო იგი უნარიანი და საქმის მცოდნე ამხანაგებით. აღსანიშნავია აგიტატორების ქ. ქაფიანშვილის, მ. ლაშაურის, მ. გაზნაშვილის, ნ. ქაფიანშვილის მუშაობა. თავიანთ საუბრებს ისინი უნარიანად უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, თვალყურს ადევნებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას, მათს ხარისხს, შრომითს მონაწილეობას იღებენ საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში, რაზმავენ კოლმეურნეებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. მოსავლის აღების დღეებში განსაკუთრებით გამოცოცხლდა კედლის გაზეთების მუშაობა. ბევრ ბრიგადაში გამოშვებულ იქნა „ელვა“-ფურცლები. მუშაობა გარდაქმნა სასოფლო ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკის მუშაკებს კომბაინის აგრეგატებზე მომუშავე კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან სისტემატურად მიაქვთ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. მინდვრად სისტემატურად ეწყობა აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლა.

მოსავლის აღების დღეებში დიდი პასუხისმგებლობით მუშაობს მცხეთის მტ-სი. მტს-ში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. კომბაინის აგრეგატებს შორის წინ მიდის და შეჯიბრებაში საპატიო სახელს იმსახურებს კომბაინერი მაისურაძე. მას არც გ. ბულაცაშვილი და ს. ბოჭიაშვილი ჩამორჩებიან. სერიოზული ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას და წარმოებაში ფართოდ დანერგვას. მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში მტს-ის პარტიულ ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევენ კედლის გაზეთები და „საბრძოლო ფურცლები“. საველე გაზეთებში მოთხრობილია კომბაინერ შ. ილიაევის წარმატებებზე, რომელმაც ძველი ქანდას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში მარტო 14 ივლისს 27 ჰექტარზე აიღო პური და გალეწა 270 ცენტნერი. მან 2 დღეში აიღო ანეულად დათესილი 32 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე 23 ცენტნერი ხორბალი გალეწა. მოსავლის აღების დღეებში თავი გამოიჩინეს ქანდელმა კოლმეურნეებმა თ. ისაევმა, ნ. გულოევმა და სხვებმა.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობის მისაღწევად საჭიროა ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე. ეს პარტიის რაიკომის ყოველდღიური საბრძოლო ამოცანაა. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფს ამ საქმეში უკვე აქვს ერთგვარი გამოცდილება. აი ერთი მაგალითი.

ინსტრუქტორ ვ. როსტიაშვილის ზონაშია სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც წლების მანძილზე ჩამორჩებოდა. აქ წლითიწლობით დაბალ მოსავალს იღებდნენ, არ სრულდებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის გეგმები. ვ. როსტიაშვილმა ღრმად შეისწავლა კოლმეურნეობის ეკონომიკა, გამოარკვია ჩამორჩენის მიზეზები და შემდეგ მათ შესახებ ესაუბრა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროსა და კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს. საწარმოო ბრიგადებს შორის მოხდა კომუნისტების ხელახალი გადაჯგუფება. ამის შედეგად მუშობა გამოაცოცხლეს პარტიულმა ჯგუფებმა. მტს-მა გაამლიერა კოლმეურნეობისადმი დახმარება. ახლა მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. ამ გაზაფხულზე შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. შარშანდელთან შედარებით წელს დაახლოებით ორჯერ გადიდდა თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მოწამთმქმედების კულტურაც. ფართოდ დაინერგა ნათესების კულტივაცია, კოლმეურნეები თავგამოდებით იბრძვიან მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. მათ გადაწყვეტილი აქვთ წელს გეგმის გადამეტებით ორჯერ მეტი ბუნებრივი ბალახები აიღონ.

ინსტრუქტორ გ. ლოხიშვილის დახმარებით წელს უკეთესად მოეწყო მუშაობა სოფელ ძველი ქანდას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობაში ცუდად იყო დაყენებული შრომის ორგანიზაცია. კოლმეურნეთა დიდი ნაწილი, მათ შორის კომუნისტებიც, არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. ამასთან ყურადღება არ ექცეოდა აგროტექნიკური ვადებისა და წესების დაცვას. საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ი. ილიაევი) იმსჯელა ამ საკითხზე. მიღებული ზომების შედეგად კოლმეურნეობაში გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, ახლა საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობს შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნე.

მაგრამ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში ნაკლიც გვაქვს. რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. სოფელ ნაოზის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად დაარღვიეს საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკური ვადები, ხოლო ახლა აჭიანურებენ ნათესების მოვლას. მოუვლელია ბოსტანიც. ეს იმის შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობაში ცუდად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. უმოქმედობას იჩენენ აგიტატორები ი. კაბულაშვილი, ნ. თადიაშვილი. ფორმალიზმის ელემენტებია სოციალისტურ შეჯიბრებაში. მართალია, ზონის ინსტრუქტორი მ. იმერლიშვილი ხშირად არის აქ, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ ყოფნას? აუცილებელია, რომ მ. იმერლიშვილი პრაქტიკულად დაეხმაროს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებაში.

სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს ვხვდებით სხვა ინსტრუქტორთა მუშაობაშიც. მტს-ის ზონაში ინსტრუქტორთა მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესება რაიონული კომიტეტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

რამდენიმე სიტყვა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. რაიონში ერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, რომელიც მომსახურებას უწევს 23 კოლმეურნეობას, კოლმეურნეობათა სათესი ფართობი 14.000 ჰექტარზე მეტია. ხეხილის ბაღები და ვენახები წელს 1.000 ჰექტარს მიაღწევს. ისეთი შრომატევადი კულტურები, როგორიც არის კარტოფილი, ლობიო და ბოსტნეული, 1.000 ჰექტარზე ითესება. არსებული ერთი მტს-ი საკმარისი არ არის კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის. მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ უახლოეს ხანში რაიონში — მუხრანის ზონაში — მოეწყოს მეორე მტს-ი.

პარტიის მცხეთის რაიკომი მიაღწევს ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. კიდევ უფრო გავაძლიერებთ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას. მთელ ძალებს დავარაზმავთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად.

გ. სეხნიაშვილი,
საქართველოს კომუნისტური პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი.

საღლეისო თემაზე

უბნის მექანიკოსი

უბნის მექანიკოსის უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაუმჯობესება, ღლიერ გამომუშავებათა ამაღლება, მანქანების გაჩერებათა შემცირება.

უბნის მექანიკოსები ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევენ მიმაგრებული სატრაქტორო ბრიგადების განსაზღვრულ ჯგუფს და უზრუნველყოფენ მანქანების სწორ გამოყენებას. ისინი სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებთან ერთად ადგენენ აგრეგატების მუშაობის წესებს, არჩევენ უბნებს, აწყობენ ტექნიკურ მოვლასა და რემონტს, ამოწმებენ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, მექანიზატორთა მუშაობის ხარისხს, აწესებენ კონტროლს ცალკეული ტრაქტორისტების მიერ ცვლის გამომუშავების ნორმების განაღდებასა და ნავთბოდოუტების ხარჯვის რეჟიმზე.

უბნის მექანიკოსი პასუხს აგებს ავტომძღრავი სარემონტო სახელოსნოს მუშაობაზე მინდვრის სამუშაოთა მთელ პერიოდში.

დიდი ხანია, რაც აფენის მტს-ში უბნის მექანიკოსად მუშაობს გ. მერმანიშვილი. მან კარგად იცის თავისი საქმე, ხშირად დადის სატრაქტორო ბრიგადებში, ფხიზლად ადევნებს თვალს ავტომოძრავი სარემონტო სახელოსნოს მუშაობას.

ამხ. მერმანიშვილს ესმის, რომ ბრიგადებისათვის კვალიფიციური დახმარების გაწევა შეუძლებელია, თუ არ იცი ის პირობები, რომლებშიც მუშაობა უხდებათ მექანიზატორებს. ამიტომ მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ადგილობრივი პირობების თავისებურებანი, გამოაქვს სათანადო დასკვნები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ყვარლის მტს-ის უბნის მექანიკოსი ამხ. ს. ბუთიაშვილი. ისიც გამოცდილი მექანიზატორია, ღრმად სწამს, რომ „ავადმყოფი" მანქანის განკურნება უფრო ძნელია, ვიდრე გამაფრთხილებელ, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება. ამიტომ იგი რეგულარულად ახორციელებს ასეთ ღონისძიებებს, რაც მანქანების ტექნიკური სრულყოფის საწინდარია.

ახე როდია ყველგან. ზოგიერთი მტს-ის დირექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს უბნის მექანიკოსთა შერჩევისა და განაწილების საქმეს. არის შემთხვევები (მაგალითად, ავრალოს და ზოგიერთ სხვა მტს-ში), როცა უბნის მექანიკოსის თანამდებობაზე აყვანილ მუშაკს სხვა დანიშნულებით იყენებენ.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის განუხრელი ზრდა უბნის მექანიკოსებს ავალებს სისტემატურად სრულყონ თავიანთი ტექნიკური ცოდნა, კარგად შეისწავლონ ყოველი ახალმოღებული მანქანა, საფუძვლიანად გაეცნონ მისი ექსპლოატაციის ტექნიკას, აითვისონ და სხვებსაც შეასწავლონ მანქანის ტექნიკური მოვლა. უბნის მექანიკოსები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ სატრაქტორო ბრიგადებში სათანადო ტექნიკური ლიტერატურა იყოს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მტს-ებში მექანიკოსთა ახალი კადრები მოვიდნენ. მათ შორის ბევრნი არიან უშუალოდ ქალაქის საწარმოთა სპეციალისტები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ების დირექციები მოწოდებული არიან მუდმივად ზრუნავდნენ უბნის მექანიკოსთა ოსტატობის სრულყოფისა და საჭიროებისათვის, შეუქმნან მათ ნორმალური საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები.

უბნის მექანიკოსებს, ისევე როგორც საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელთ, ახლა მუშაობის გაცხოველებული დღეები აქვთ. მათი პატრიოტული ვალია მოსავლის აღების, თიბვისა და საშემოდგომო თესვისათვის მზადების ამ დაძაბულ დღეებში ყველაფერი გააკეთონ მანქანებისა და მექანიზაციის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, ამით აამაღლონ მათი ნაყოფიერება.

უბნის მექანიკოსის ადგილი მინდვრად არის, იქ, სადაც წყდება უხვი მოსავლის ბედი.

ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედება

სსრ კავშირის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების 1953 წელს და ნაწილობრივ 1952 წელს გამოშვებულ სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების მოძრავი გამოფენა, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში გაიხსნა, შემთხვევით როდი იპყრობს ქალაქის საზოგადოებრიობის ყურადღებას. მწვრთნელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ახალგაზრდობის შემოქმედებას, ახალგაზრდობისა, რომლის ხელშია საბჭოთა ხელოვნების მომავალი.

სადიპლომო ნამუშევარი პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, იგი სტუდენტის ექვსი წლის მხატვრული სწავლების შედეგია, და გამოფენის სახელდახელო დათვალიერებითაც კი ჩანს, რომ დიპლომანტების უმრავლესობას კარგად შეუთვისებია „მხატვრული გრამატიკის" საფუძვლები. მეტ წილ ნამუშევრებში თვალს ახარებს დახვეწილი, გაბედული ნახატი, პლასტიკური ფორმის მკაფიობა, პერსპექტივის, სივრცის სწორად აგება, ფერების, ელფერების ფლობა. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მხატვარი იყოს ნამდვილი ხელოვანი — „ადამიანის სულის ინჟინერი".

მნახველს ამიტომ განსაკუთრებით ახარებს ის, რომ გამოფენის მთელ რიგ ნამუშევრებში მის წინაშე არიან არა მარტო კეთილსინდისიერი მოსწავლეები, არამედ უკვე ნამდვილი, დამოუკიდებელი, გაბედული მხატვრები, რომლებსაც ახასიათებს შემოქმედებითი შემართება, ცხოვრების საკუთარი აღქმა, საკუთარი ორიგინალური სიტყვა.

საყოფაცხოვრებო ჟანრის ნაწარმოებთა შორის, რომლებსაც ამ გამოფენაზე წამყვანი ადგილი უჭირავთ, ერთ-ერთი ყველაზე კარგია მოსკოველი ი. შევანდრონოვას სურათი „მიღება". მნახველი ხედავს ცოცხალ სცენას ალტაის მხარის სპავშვო ამბულატორიაში. ყველაფერი მართალი, დამჯერებელია ამ სურათში — ახალგაზრდა ექიმის გულთბილი ღიმილით გასხივოსნებული მიმზიდველი სახეც, ასეთ პროცედურას მიუჩვეველი მისი პაციენტის. უხერხული პოზაც, თეთრად მბრწყინავი კაბინეტიც, სადაც უხვად არის სინათლე, ჰაერი, მზიანი პეიზაჟიც ფანჯრის იქით. ავტორი გულშიჩამწვდომად მოგვითხრობს უდიდეს ცვლილებებზე რევოლუციამდე ჩამორჩენილი ბურჟუაზიული ხალხის ცხოვრებაში, მის დღევანდელ კულტურულ, ბედნიერ ცხოვრებაზე.

თემისა და შესრულების მიხედვით საინტერესოა ა. მაკაროვის სურათი „მოსკოვისაკენ" და ო. კაჩაროვის სურათი „ჰოსპიტალში".

გამოფენის მთელ რიგ ნაშრომებში ასახულია ძველის, ჩამორჩენილის, დრომოჭმულის წინააღმდეგ ახლისათვის, მოწინავისათვის განუწყვეტელი მწვავე ბრძოლა, რომელთაც აღსავსეა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კრიტიკის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე მოგვითხრობს მ. კლიონსკის სურათი „კრების შემდეგ". ავტორს მიუგნია აქტუალური თემის ორიგინალური გადაწყვეტისათვის. სურათის ცენტრშია განმარტოებული ფიგურა ადამიანისა, რომელსაც პიჯაკზე კომკავშირის ნიშანი უკეთია. იგი ღრმად ჩაფიქრებული უზის პრეზიდიუმის ნაგიდას, რომელიც ეს არის დაუტოვებიათ პრეზიდიუმის წევრებს. მწვავედ და სამართლიანად გაკრიტიკებული კომკავშირელის გრძნობები და განცდები მკაფიოდ გადმოცემულია მისი სახის გამომეტყველებაში, პოზაში, ჟესტში. ტილოს კომპოზიცია, ფერების წყობა ხაზგასმით იძლევა მთავარი გმირის სახეს, ხელს უწყობს ნაწარმოების ძირითადი აზრის მიხვედრას.

პორტრეტის ჟანრი გამოფენაზე წარმოდგენილია, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ნამუშევრით. მაგრამ ეს პორტრეტები, რომლებზეც გამოსახული არიან საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეები — მხატვარი პლატუნოვი და პიანისტი ვასილევი, უეჭველია გამოფენის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან. პლატუნოვი და ვასილევი გამოსახული არიან დაძაბული შემოქმედებითი შრომის, შემოქმედებითი აღმაფრენის მომენტში. პლატუნოვი გაჭიმული ზის სავარძელში, ენერგიულად ჩაუბღუჯია ყალმები და მხატვრის ნახვილი თვალით აკვირდება ნატურას. მისი სახის გამომეტყველ ნაკვთებზე აღბეჭდილია ენერგია, შემართება, კედლის ფონზე მკაფიო სილუეტად მოჩანს მისი დაძაბული ფიგურა. ვასილიევის პორტრეტი მთლად არ არის „მოთავებული". მაგრამ უკვე კარგად არის მიგნებული დინამიკური კომპოზიცია, გადმოცემულია მუსიკოსის ზეშთაგონებულობა, მგზნებარება სახეში, ხელების მოძრაობაში. მხატვარი ს. ეპშტეინი ღრმად სწვდება საბჭოთა ადამიანის ბუნებას.

გამოფენის ისტორიულ ტილოებს შორის მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის კ. მახარაძის სურათი „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში", მიძღვნილი ისტორიული ლაშქრობისადმი ალპებში.

რუსეთის არმია და მისი შესანიშნავი მხედართმთავრები გამოსახული არიან ეშმაკის ხეობაში. გარშემო მიუვალ კედლად აღმართულია ღრმა ოთვლით დაფარული, ბურუსში გახვეული კლდეები. უფსკრულის პირად მხოლოდ ერთი წვრილი შეჩერებულა არმიის მოძრაობა. არმია ძაბავს ნებისყოფას, იკრებს ძალას, რომ მამაცურად განაგრძოს გზა. მთელ სიტუაციაში, ცალკეული მეომრების ტიპებში მხატვარი ლაპარაკობს პატრიოტი ხალხის ურყევ ფიქაცობაზე, სიმტკიცეზე. მკაცრი, საუცხოოდ შესრულებული პეიზაჟი ხაზს უსვამს მომენტის დაძაბულობას, დრამატიზმს. მხატვარს თუმცა მთლად კარგად ვერ გამოსვლია სუვოროვი (მისი სახე რამდენადმე უსიცოცხლოა, უენებოა) და სასურველია, რომ მეომრების სახეები უფრო ღრმად და მრავალმხრივად იყოს გადმოცემული, მაგრამ უდავოა, რომ ნაწარმოების ავტორი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის, დაკვირვებული, ფართო გაქანების, დიდი ტემპერამენტის მხატვარია.

მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ესპანელ მ. ლოპესის ტილო მოგვითხრობს ესპანელი ხალხის ბრძოლაზე ფაშისტი მეამბოხეების წინააღმდეგ 1936 წელს.

ისტორიულ თემაზე შესრულებულ ნაწარმოებთა შორის საინტერესოა გ. პესისის სურათი „პეტრე I პეტერბურგის მშენებლობაზე" (ლენინგრადი), ნ. პარამონოვის სურათი „1917 წელს".

მოსკოველ ა. ტიურენკოვის ნამუშევარი „ჯარისკაცი გაზეთ „პრავდას" კითხულობს" და ლენინგრადელ ა. პოლიაკოვის ნამუშევარი „დაუმორჩილებელნი" სკულპტურაში მნიშვნელოვანი სიტყვიერის გადაჭრის მაგალითია.

გამოფენის საინტერესო განყოფილებას შეადგენენ თეატრალური დეკორაციების ესკიზები. სხვადასხვა ტექნიკითა და მასალებით შესრულებული სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით წარმოდგენილია გრაფიკოსების შემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ყველა სადიპლომო შრომა როდია შესრულებული საკმაოდ მაღალ დონეზე გამოფენაზე მთელი რიგი ნაწარმოებები მხატვრული ენის მხრივ დარიბია, სახეების მხრივ სქემატურია. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, გ. მელენტიევის სურათი „თითართა დელეგაცია ამხ. სტალინთან" (მოსკოვი), ე. გრიგორიევის „სამავშვო ბაღაში" (მოსკოვი), ნ. ზაგორსკიის „კურსდამთავრებულნი" (ლენინგრადი), ო. ზარანკიტეს „მოსწავლეთა თვითმოქმედება" (ლიტვა), ცუცქირიძის „დასვენება" (თბილისი) და სხვ. ამ ნაწარმოებთა ავტორებს აკლიათ დაკვირვებული, აქტიური შემოქმედებითი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

მთლიანად კი სადიპლომო ნამუშევართა მოძრავი გამოფენა მიუწვნს, რომ ჩვენი ქვეყნის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები დამოუკიდებელ შემოქმედებითს გზას ადგებიან და მზად არიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ პარტიისა და ხალხის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

დ. კოგანი,
გამოფენის მეცნიერი თანამშრომელი.

ილო მოსაშვილი



გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი — პოეტი და დრამატურგი ილია (ილო) ონისიმეს-ძე მოსაშვილი. ილო მოსაშვილი დაიბადა 1896 წლის 7 იანვარს, დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1914 წელს ილო მოსაშვილი მივემგზავრება პეტროგრადში, სადაც სწავლას იწყებს იურიდიულ ფაკულტეტზე; 1915 წელს იგი გადადის ხარკოვის უნივერსიტეტში, იმავე ფაკულტეტზე. აქ იგი სწავლობდა 1917 წლის გაზაფხულამდე.

ილო მოსაშვილი სამწერლო სარბიელზე გამოვიდა პირველი მსოფლიო ომის წლებში. მან მალე მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა პოეტმა; მაგრამ თვითმპყრობელობისა და მენშევიზმის შავნელ ხანაში მწერლის შემოქმედებითმა ენერგიამ სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ილო მოსაშვილი, როგორც შემოქმედი ხელახლა დაიბადა; იგი საბჭოთა სამშობლოს და ბედნიერი საბჭოთა ხალხის მგზნებარე მომღერალი გახდა. სოციალიზმის ეპოქაში მთლიანად გაიფურჩქნა ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ტალანტი. მან შექმნა გულწრფელი და ღრმა შთაგონებით აღსავსე მთელი რიგი პატრიოტული ლექსები, პოემები და პიესები, რომლებიც ამდიდრებენ საბჭოთა ლიტერატურას და ჩვენი კულტურის სიამაყეს წარმოადგენენ.

ილო მოსაშვილის პოეზია მუდამ ყურადღებას იქცევდა ღრმა იდეურობით, მაღალი მხატვრულობით და სინამდვილის უშუალო აღქმით. საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი ხალხის დიადი წარმატებები წარმოადგენდნენ დაუშრეტელ წყაროს პოეტის შემოქმედებისათვის. მისი ლექსების ძალა — ხალხურობასა და რეალისტურ სისადავეზე იყო დაფუძნებული.

ილო მოსაშვილი ღრმა გულწრფელობით, მთელი პოეტური ხმითა და შთაგონებით უმღეროდა ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — კომუნისტურ პარტიას. ი. მოსაშვილმა გამოაქვეყნა არა ერთი ბრწყინვალე ლექსი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადებზე — ლენინზე და სტალინზე, დიად სოციალისტურ სამშობლოზე. პოეტის ეს ლექსები ხალხშია გადასული და სამღერებად არის ქცეული.

სოციალისტურმა რეალიზმმა დიდად აამაღლა და გაამდიდრა ილო მოსაშვილის პოეზია. პოეტმა გატაცებით უმღერა საბჭოთა ხალხების დიად ლენინურ-სტალინურ მეგობრობას. მას გულწრფელად ახარებდა მომძმე საბჭოთა ხალხების მიღწევები. ეს მიღწევები მკაფიო და ღრმა ასახვას პოულობდნენ მის შემოქმედებაში. ვის არ ახსოვს და არ ხიბლავს ილო მოსაშვილის ლექსები: „ბელორუსიაში", „მათ გამარჯვება", „მარიამ დემჩენკო", „საღამო დვინაზე", რომლებიც გაჟღენთილია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ილო მოსაშვილი, როგორც შემოქმედი, არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ერთხელ მოპოვებული მიღწევებით, იგი მუდამ ახლისა და უფრო სრულყოფილის ძიებაში იყო. ამიტომ მისი ყოველი ნაწარმოები ნამდვილი გამარჯვება იყო მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურისა. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში პოეტი-მოქალაქე დაუღალავად იღვწოდა და მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას მტერზე გამარჯვების სასახელო საქმეს ახმარებდა. ომის პერიოდში დაწერილი მისი პატრიოტული ლექსები საბჭოთა მეომრებს აღაგზნებდნენ საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით.

ილო მოსაშვილმა განსაკუთრებით თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ წლებში. ამ პერიოდში სავსებით გაიფურჩქნა მისი მხატვრული ნიჭი და ოსტატობა. კერძოდ დიდია და ფრიად მნიშვნელოვანი ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში. „ბაბილონელი ფეოდალი", „ოფროსი", „ჩაძირული ქვები", „მისი ვარსკვლავი" ქართული მხატვრული მწერლობის ღირსშესანიშნავი მოვლენებია. ეს პიესები გამოირჩევიან ღრმა იდეურობით, პოლიტიკური სიმახვილითა და მხატვრული სრულყოფილობით. ამ პიესებში იმვიათი უშუალობით, სიმართლითა და დამაჯერებლობით არის ასახული მოვლენები, შექმნილია ჩვენი დროის ადამიანების ცოცხალი და ტიპიური სახეები.

ილო მოსაშვილის ამ პიესებმა ხელი შეუწყეს ჩვენი თეატრების შემოქმედებით აღმავლობას. „სადგურის უფროსი", „ჩაძირული ქვები", „მისი ვარსკვლავი" რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სცენებზე ნამდვილი საეტაპო სპექტაკლები იყო.

უკანასკნელად ილო მოსაშვილმა დაწერა და გამოაქვეყნა პიესა ჩვენი ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულზე. ეს პიესა „გზა მომავლისა" ასახავს რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობას.

ილო მოსაშვილი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ილო მოსაშვილის დამსახურება ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე; იგი არის სტალინური პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

საბჭოთა მკითხველი მუდამ მაღლიერების გრძნობით მოიგონებს თავის საყვარელ პოეტსა და დრამატურგს, ხოლო მეგობრების გულში მისი ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება.

ა. გუნია, ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ა. ბარამიძე, მ. ბარათაშვილი, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ა. გომიაშვილი, უ. ჯაფარიძე, შ. დადიანი, ბ. ყიენტი, პ. ინგოროყვა, კ. კალაძე, თ. ქვლივიძე, ა. ქუთათელი, ვ. კუპრაძე, ლ. ქიაჩელი, დ. მჭედლიძე, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, ვ. თოფურიძე, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. ჭილაია, ვ. ჭიაურელი, ვ. ხატიაშვილი, ა. ხორავა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის, სტალინური პრემიის ლაურეატის

ილია (ილო) ონისიმეს-ძე მოსაშვილის

გარდაცვალებას.

მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტი მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, მწერლის, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის, სტალინური პრემიის ლაურეატის

ილია (ილო) ონისიმეს-ძე მოსაშვილის

გარდაცვალებას.

მოდის ქართული ჩაი

ადრე იწყება ხუცუბნელ კოლმეურნეთა სამეშაო დღე. სანამ ინათებდეს, სანამ დილის ბინდ-ბუნდში გახვეულია გარშემო მთები, მწვანე ბუჩქნარებისკენ მიეშურებიან ჩაის ფოთლის მკრეფავები. თავზე ახურავთ მზისგან შემუქებული ჩალის ქუდები. სახე ბრინჯაოსფრად შერუჯული აქვთ, ზაფხულის ალმური აშჩხვიათ დაკარწახებულ მკლავებზე. მინდვრად შრომობენ და შერე როგორ! ალიონიდან გვიან ღამემდე.

— მაისმა არც წვიმა დაგვაკლო და არც ფოთოლი. როცა ჩაის ბუჩქებმა პირველი დუყები ამოიყარა, ჩვენ პლანტაციებში ვტრიალეზდით. მართალია, შარშანდელთან შედარებით წელს გვიან დავიწყეთ კრეფა, მაგრამ მაისის გეგმა მაინც გადამეტებით შევასრულეთ. ჩვენმა რგოლმა, რომელშიც შედიან მკრეფავები თათუშა ცეცხლაძე, ემინე ცეცხლაძე, გულიკო ჯინჭარაძე, ფადიმე მახარაძე და ნაზიკო ქიქავაძე, სამ ჰექტარ ფართობზე უნდა მოკრიფოს 22 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. პირს არ შევირცხვენთ, არ ჩამოვრჩებით, რაც უნდა მოხდეს, გეგმას შევასრულებთ, — მტკიცე რწმენას გამოთქვამს სოციალისტური შრომის გმირი ასმათ ქიქავაძე.

— სამი თვის გეგმა ერთ თვეში შევასრულე, დღეში ზოგჯერ 100-150 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ვკრეფ და ნუთუ ისე დავძაბუნდი, რომ ვადაზე ადრე არ შევასრულო წლიური გეგმა. ჩემთვის მოსავლელად გამოყოფილ ნაკვეთზე ვაპირებ ჰექტარზე 13 ტონა ფოთოლი მოვკრიფო. ასევე მოიქცევა ჩვენი რგოლის ყველა წევრი. ჩაისა და ციტრუსებისათვის ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებს ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი სტალინის სახელს, — დასძენს ასმათი და სიამით განაგრძობს საუბარს მოსკოვზე, კრემლზე, დედაქალაქში მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე.

განა ცოტა აქვს მას საამბორი! ასმათი, როგორც ხუცუბნის კოლმეურნეობის პირველი სოციალისტური შრომის გმირი, ბევრჯერ ყოფილა მოსკოვში.

* * *

ავტომანქანების განუწყვეტელი მოძრაობაა ხუცუბნის გზებზე. დილიდან საღამომდე ისმის მათი ხმაური. აგერ ჩაიქროლებს ქობულეთიდან მომავალი „პობედა", საყვირით მიესალმება პლანტაციისკენ მიმავალი „მოსკვიჩი", აგერ კიდევ ჩაის ფაბრიკისაკენ მიეშურება ნორჩი ფოთლებით დატვირთული ავტომანქანა. საბარგულებიც ბლომად შეგხვდებათ, ფაბრიკაში გადასამუშავებლად მიაქვთ ახლადდაკრეფილი ფოთოლი. აქ „ზიმიც" ხშირი სტუმარია და „ვილისიც", ნახავთ ავტობუსებსაც, რომლებსაც ხუცუბანში ჩამოჰყავთ ექსკურსანტები, ტურისტები, დელეგაციები.

მართლაც სწრაფად გაიზარდა ეს მშვენიერი სოფელი. სახელი ძველი ბოსდევს, მაგრამ სიცოცხლით ახალია ხუცუბანი. მარტო ამ ბოლო წლებში, დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, აგებულია 132 ახალი სამ-ოთხოთთვალიანი სახლი. მრავალ კოლმეურნეს კიდევ ახლა დაუწყია შენება, ქვიტკირის მტკიცე ბალავერი ჩაუყრია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად.

სოფლის შუაგულში, გორაკზე, საიდანაც ზღვის ლამაზი ხედი იშლება, ბაშუალო სკოლის მშვენიერ შენობას უგებენ ხუცუბნელ ახალგაზრდობას. აქვე, მთის ძირას, დიდი ხანია მოქმედებს და წარმატებით ასრულებს სახელმწიფო გეგმას საუკეთესო მანქანებით აღჭურვილი ჩაის ფაბრიკა.

მდინარე კინტრიშის პირას ყვავილებისა და ხეების ალყა შემორტყმია კოლმეურნეობის კანტორის საუცხოო შენობას. ამშვენებულ მთებს, მოასფალტებულ გზატკეცილს, ბედნიერ ადამიანებს დაჰყურებენ კვარცხლბეკიდან კაცობრიობის უდიდესი გენიოსების დიდი ლენინისა და მისი უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის დიდი სტალინის მონუმენტები. დუმან ძეგლები, მაგრამ მუდამ მოქმედებენ, სიცოცხლისათვის აღანთებენ კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს მათი ბრძნული აზრები.

ყვავილების ლაშქარი შემოხვევია ხალხთა დიდი ბელადების მონუმენტებს კოლმეურნეობის კანტორის ეზოში. ბაღნარებიდან მონაქროლ ნიავს მოაქვს ქართული ჩაისა და ციტრუსების სურნელება. ბელადების სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვება. მათი დროშით, მათი გზით გაიმარჯვა ხუცუბნის კოლმეურნეობამაც და საამაყო ძაჩვენებლებით ჩადგა მოწინავეთა რიგებში. აი თუნდაც ორიოდე ციფრი.

გასულ წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 8.152 ათას მანეთს შეადგენდა, აქედან ჩაიზე მოდიოდა 7.285 ათასი მანეთი. წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 8.472 ათასი მანეთი უნდა იყოს, მარტო ჩაიდან უნდა მიიღონ 7.772 ათასი მანეთი. დანარჩენი თანხა კი მოვა ახალგაშენებულ ციტრუსებზე, სანერგეზე, ტუნგოზე, მეცხოველეობის ფერმაზე და სხვ.

თვითეულ შრომადღეზე შარშან 27 მანეთი და 20 კაპიკი გაიცა, წელს კი ფულად უნდა გაიცეს 28 მანეთზე მეტი და 4 კილოგრამამდე მარცვლეული. ამრიგად აღვილი წარმოსადგენია, თუ რა შეძლებულად ცხოვრობენ ხუცუბნელი კოლმეურნეები. აგიღოთ რამდენიმე მაგალითი:

დავით ქიქავაძის ოჯახმა, სადაც ძირითადად 3 წევრი მუშაობს, შარშან გამოიმუშავა 2.143 შრომადღე და ფულად მიიღო 56.327 მანეთი, ამასთან 5.733 კილოგრამი მარცვლეული.

თევრათ მოწყობილის ოჯახმა, სადაც 3 მომუშავეა, შარშან 1.468 შრომადღეზე მიიღო 41.274 მანეთი და 4.404 კილოგრამი ხორბალი.

შუქრი შაქარაშვილის ოჯახმა კი, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმრისაგან შედგება, 1.180 შრომადღეზე მიიღო 34.410 მანეთი ფულად და 3.540 კილოგრამი მარცვლეული.

ყველა მოწინავე კოლმეურნეს აქვს საუცხოოდ გაშენებული საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი. მათ ეზოებში ნახავთ ჩინებულად მოვლილ ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ტუნგოს ხეებს, ჩაის უხვმოსავლიან ბუჩქებს. მათ სახლებში შესვლისთანავე იგრძნობთ დოვლათის სიუხვეს, ყურადღებას მიიქცევს ძვირფასი ავეჯი, სისუფთავე, გემოვნებით შერჩეული სურათები. გესმით რადიოს ხმები, ირგვლივ ანათებს ილიჩის შუქი. კულტურულად, შეძლებულად ცხოვრობენ ხუცუბნელი კოლმეურნეები.

ხალხის ხმას გულისხმიერად ისმენს და კოლმეურნეთა კეთილდღეობისათვის ენერგიულად ზრუნავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ბაკუნაიშვილი. მისი სამუშაო დღე დილის 6 საათზე იწყება და გვიან ღამემდე არ თავდება. მიხეილი კარგად იცნობს ყველა კოლმეურნეს, იცნობს მათი ოჯახის წევრებსაც ნორჩიდან ღრმა მოხუცამდე. სამუშაო კაბინეტი მას მხოლოდ ხალხის მისაღებად, საბუთების გასაფორმებლად სჭირდება, თორემ ისე კი სულ მინდვრებში, ბრიგადებში, რგოლებშია. ადგილზე სწავლობს მდგომარეობას და იქვე იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

* * *

ოცდახუთი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავდა სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ხუცუბანში. ახლა კი თოთხმეტი გმირი ჰყავს. სად წავიდნენ დანარჩენები? გათხოვდნენ, სხვა სოფლებში, სხვა ოჯახებში გადავიდნენ გმირი ქალიშვილები. მაგრამ სადაც არ უნდა იყონ ისინი, ყველგან შრომა იქნება მათი დიდებისა და ღირსების საქმე.

შინ დარჩენილი გმირებიდან მუდამ გადამეტებით ასრულებენ გეგმებს სახელოვანი მკრეფავები — ულბიე შაქარაშვილი, ასმათ და აიშე ქიქავაძეები, აიშე მაჭუტაძე, ფერიდე დავითაძე, თუნთულ მოწყობილი, მერი და ემინე გოგიტიძეები. ლენინის ორდენოსნებიდან კი ჩაის კრეფასა და ციტრუსების მოვლაში ყველაზე წინ არიან ემინე ემირიძე, ასიე გოგიტიძე, ფერიდე ხალვაში.

მარტო გმირებით და ორდენოსნებით როდი ამოიწურება მოწინავე კოლმეურნეთა რიცხვი ხუცუბანში. აქ არიან რიგითი სახელოვანი კოლმეურნეები, რომლებიც მუდამ გადამეტებით ასრულებენ გეგმებს. ასეთნი არიან — გულიკო მართალიშვილი, ულბიე კაიკაცაშვილი, მერი ბლადაძე, თინა ცეცხლაძე, ხასან მეგრელიძე, როსტომ ცეცხლაძე, ისმაილ მოწყობილი და სხვები. ბრიგადირებიდან კი ყველას წინ უსწრებენ და ნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან მემედ ბაჯელიძე, თევრათ მოწყობილი, ჯემალ თამაზაიშვილი და შუქრი შაქარაშვილი.

ვინ იცის, რამდენჯერ შემოუვლიან ხუცუბანში ჩაის ბუჩქებს კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავები. კოლმეურნეობაში 230 ჰექტარი ჩაის პლანტაციაა, თვითეულ ჰექტარზე, ათი ათასი ბუჩქია. ასე რომ 2.300.000 ძირი ბუჩქი მოითხოვს მზრუნველ ხელს, რომ ქართული ჩაის სურნელებით დაატკბოს ასეულ ათასობით ადამიანი.

— შარშან ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ სამეურნეო წელი, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ბაკუნაიშვილი,—წელს ბევრად უკეთ უნდა ვიმუშაოთ სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა საპასუხოდ. შარშან თუ ჰექტარზე საშუალოდ 4.700 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი ავიღეთ, წელს 5 ათას კილოგრამს უნდა გადავამეტოთ. ცალკეულ სრულმოსავლიან ფართობებზე 10-13 ტონა ფოთოლიც უნდა ავიღოთ, მაგრამ ასეთი ნაკვეთი კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ცოტაა. ჩვენ გავზრდით შრომის ნაყოფიერებას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სამშობლოს მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთ

ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲘᲔᲜᲐ, 5 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

ხიროსიმას ტრაგედიის მე-9 წლისთავთან დაკავშირებით, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღნიშნავენ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო იაპონელ ხალხს — ატომური ბომბის პირველ მსხვერპლს — უცხადებს თავის ღრმა თანაგრძნობას.

სიტყვა „ხიროსიმა“ ყველა დროისათვის იმ საშინელი ატომური ომის სიმბოლო გახდა, რომელიც მთელ მსოფლიოს ემუქრება.

წყალბადის ბომბებმა, რომლებიც ამას წინათ აფეთქეს ბიკინის ატოლზე, ახალი მსხვერპლი მოითხოვეს იაპონელი ხალხისაგან. ეს მსხვერპლი სერიოზული გაფრთხილებაა მთელი მსოფლიოს მამაკაცებისა და ქალებისათვის.

დედამიწის ხალხები ყველგან იბრძვიან ატომური და წყალბადის იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის აბსოლუტური აკრძალვისათვის. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში იაპონელ ხალხს საპატიო ადგილი უკავია.

კამპანიამ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, რომელიც იაპონიაში ტარდება და რომელსაც მხარს უჭერს მოსახლეობის ყველა ფენა, დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მოკლე ხანში შეგროვებულია 5 მილიონზე მეტი ხელმოწერა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო საუკეთესო სურვილებს უძღვნის იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტსა და მთელ იაპონელ ხალხს, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებებს აღწევს.

აზიაში მშვიდობის ზონის შექმნისა და გაფართოებისათვის

ᲓᲔᲚᲘ, 5 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ ეხება დასავლეთის სახელმწიფოთა ცდებს — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეკავშირონ სამხედრო კავშირი და აცხადებს: „ინდოეთი და აზიის სხვა ქვეყნები, რომლებიც დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ, უარს ამბობენ მიეხრონ მტრულ ბლოკებს ცივ ომში“. გაზეთი აყალიბებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს პოზიციას, რომელიც მოქმედებს „მშვიდობის ზონის“ შესაქმნელად და გასაფართოებლად, და წერს: „აზიის ქვეყნების პოლიტიკა „სეატოს“ (სამხედრო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. — რედ.) საკითხზე განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისაგან, რომლებიც აძლიერებენ დაძაბულობას აზიაში და საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავენ მოაწყონ აზიელთა ბრძოლა აზიელთა წინააღმდეგ“.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა ინდონეზიის ინფორმაციის მინისტრის ტობინგის განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ინდონეზიის მთავრობა უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პაქტში შესვლის შესახებ, რადგან „ეს ეწინააღმდეგება ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება“. ტობინგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდონეზიას არა სურს მონაწილეობა მიიღოს რაიმე სამხედრო ბლოკში. ჩვენი ქვეყანა, თქვა მან, კვლავაც აქტიურად იბრძოლებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების სესია. სესიამ მიიღო შეწყალებისა და ამნისტიის კანონი, კანონი სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ, დაამტკიცა დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

გამარჯვებებმა, რომლებიც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს 10 წლის მანძილზე რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ, ნათქვამია შეწყალებისა და ამნისტიის კანონში, განამტკიცეს სახალხო-დემოკრატიული წყობიერება. განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე. სულ უფრო ვითარდება მასებში შრომისადმი, სახელმწიფოსადმი, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისადმი ახალი დამოკიდებულება. განმტკიცდა სახალხო კანონიერება — სახალხო დემოკრატიის რეჟიმის განმტკიცების, მშრომელთა ინტერესების დაცვისა და დანაშაულებრივ მოქმედებათა აღკვეთის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამასთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს იმ პირთა განთავისუფლებას პატიმრობიდან, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე, ხუთ წელზე მეტი სასჯელის ვადები ორი მესამედით მცირეუბა. აღნიშნული დებულებანი ვრცელდება სასამართლო საქმეებზე, რომლებიც გარჩევის პროცესშია.

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც დღეს დილით კუნძულ კვიპროსის რადიომ გადასცა, ერაყში შეიქმნა ახალი მთავრობა ნური საიდის მეთაურობით. ახალი მთავრობა შედგება 16 კაცისაგან, რომელთაგან 7 იმ პარტიის წევრია, რომელსაც ნური საიდი მეთაურობს („კონსტიტუციური კავშირი“), და 9 დამოუკიდებელი.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

ᲗᲔᲰᲠᲐᲜᲘ, 4 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ეთელაათი“ იუწყება, რომ წყალდიდობის შედეგად ყაზვინის მახლობელ სოფლებში დაიღუპა 400 კაცი. გაზეთების „ქეიჰანისა“ და „პოსტე თეჰრანის“ ცნობით, ტარო